გ-04/35.14
26.06.14

გარემოს ეროვნული სააგენტო
NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

№ 12-15/2279 25 06 2014

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
ბატონ კახა კოჟორიძეს

ბატონო კახა,

2014 წლის 19 ივნისის თქვენი გ-04/266.14 მომართვის პასუხად, რომელშიც ითხოვთ სააგენტოში არსებული დოკუმენტების, კერძოდ 1991 წლის 9 აპრილიდან დღემდე, სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის მიზნით სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გაცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებლივი აქტების ასლებს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული მოთხოვნის შესრულება სააგენტოს მიერ შეუძლებელია კანონით განსაზღვრულ ვადებში.

სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტების რაოდენობა შეადგენს რამოდენიმე ათეულ ათასს. გარდა აღნიშნულისა, საარქივო მასალებში ასევე დაცულია ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებივი აქტები (ლიცენზიის ნაწილის გადაცემა, მთლიანად გადაცემა, მოქმედების ვადის ამოწურვამდე გაუქმება და სხვა კატეგორიები.)

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დააკონკრეტოთ, თუ რომელ სუბიექტზე (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე) გაცემული სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის (მოქმედი თუ გაუქმებული) ბრძანების ასლებს ითხოვთ.

პატივისცემით,

სააგენტოს უფროსი შალვა ჯავახიშვილი

დ.აღმაშენებლის გამზ.150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D. AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA
Tel.: +995 32 2439502 Fax: +995 32 2439503
E-mail: info@meteo.gov.ge Web: www.meteo.gov.ge